საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

20961-01-2-201805171545

N 01/20961
17/05/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ **სოფიკო ბელქანიას**

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საპატიო კონსულის ნოდარ გიორგაძის ინიციატივით, **2018 წლის 5-9 ივნისს,** დაგეგმილია სლოვაკეთის წარმომადგენლობითი დელეგაციის - ე.წ. საქართველოს მეგობართა ჯგუფის ვიზიტი საქართველოში, რომელიც ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებითა და გამოჩენილი ადამიანებით იქნება დაკომპლექტებული.

ვიზიტი გაცნობითი ხასიათისაა და მიზნად ისახავს ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავებას. დელეგაციის წევრებისთვის ასევე გათვალისწინებულია მასშტაბური კულტურული პროგრამა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვიზიტი. აღნიშნული ფორმატის ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით, განისაზღვრა, რომ **სლოვაკეთის დელეგაციის შემადგენლობაში მყოფ სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ ადამიანებს საქართველოში შესაბამის დარგის წარმომადგენლებმა, ერთი დღის განმავლობაში (სავარაუდოდ, 7 ან 8 ივნისი, 12 საათიდან), ინდივიდუალური პროგრამით უმასპინძლონ.** ინტერაქცია მოიაზრებს პროფესიული კონტაქტების დამყარებას, საქმიანობის გაცნობასა და გამოცდილების გაზიარებას, რაც პერსპექტივაში, სამომავლო თანამშრომლობას შეუწყობს ხელს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განიხილება საქართველოდან მსგავსი შინაარსის საპასუხო ვიზიტის განხორციელება სლოვაკეთის რესპუბლიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ, შესაბამისი სფეროს წარმომადგენლის/წარმომადგენლების შერჩევა, რომელიც მასპინძლობას გაუწევს/გაუწევენ შემდეგ სტუმრებს:

1. **ჰენრიეტკა ტომაშოვა** - ცნობილი სტომატოლოგიური კლინიკის წამყვანი ექიმი;
2. **ვილიამ ფიშერი** - ევროპაში ცნობილი კარდიოქირურგი, დოქტორი, პროფესორი, რომელსაც 1980 წლიდან ჩატარებული აქვს გულის 5000-მდე ოპერაცია;
3. **რობერტ ილლეშ** - ცნობილი ნეიროქირურგი, მთავარი სახელმწიფო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, ნეიროქირურგიული განყოფილების უფროსი, სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე;
4. **ლუცია ილეშოვა** - ექიმი-ნევროლოგი;
5. **პეტერ მარეშ** - ბრატისლავაში კოხის სანატორიუმის გინეკოლოგიური ცენტრის მთავარი ექიმი;

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00
ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

6. **მარცელა მანგაროვა** - ცნობილი მსახიობი, მომღერალი, საბავშვო წიგნების ავტორი, ორგანიზაცია „ჯანმრთელი სული“-ს დამფუძნებელი, ბავშვების ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიისა და პედიატრიის საკითხებში, ასევე ხელოვნებაში, უნარ-ჩვევების განვითარებასა და თვითშემეცნებაზე სემინარების ორგანიზატორი;
7. **ივანა პეკაროვა** - სლოვაკეთის რესპუბლიკის შრომის, ოჯახისა და სოციალური საკითხების სამინისტროს მთავარი ექსპერტი, მრჩეველი;

შემდგომი კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, გიგზავნით საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაციას - თამარ პაპავაძე, ევროპის დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის სამმართველოს პირველი მდივანი. ტელ: 593 285408; ელ-ფოსტა: tpapavadze@mfa.gov.ge

პატივისცემით,
ნინო ბარათაშვილი



დეპარტამენტის დირექტორი
ევროპის დეპარტამენტი